

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის

2020 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება

სხდომის ოქმი

2020 წლის 9 იანვარს საქართველოს რაგბის კავშირის (რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 00015/12/0013; 25/01/1999 წ. საიდენტიფიკაციო №204874911) (შემდგომში, სრკ) ცენტრალურ ოფისში, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის 6, გაიმართა სრკ-ს გამგეობის სხდომა (შემდგომში, სხდომა).

სხდომას ესწრებოდა გამგეობის 15 წევრიდან 11 წევრი. სრკ-ს წესდების შესაბამისად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად.

**სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრები:**

- 1) **გოჩა სვანიძე** (დაბადებული 30.03.1963 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის შესახვევი №3, ბლოკი „ბ“ ბინა №7, პირადი №01006005613);
- 2) **ალექსანდრე ხვედელიძე** (დაბადებული 21.10.1965 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა №147, ბინა №36, პირადი №01014002287);
- 3) **გიორგი ლლონტი** (დაბადებული 08.08.1958 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქუჩა №18, ბინა №9, პირადი №01024026522);
- 4) **გოჩა მაჭავარიანი** (დაბადებული 03.01.1964 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ს. ჭიაურელის ქუჩა №9, ბინა №9, პირადი №01026000757);
- 5) **ზურაბ ზოიძე** (დაბადებული 27.11.1969 წ. პირადი №01008006812, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, გ. მუხამის ქუჩა №26);
- 6) **გიორგი გორგასლიძე** (დაბადებული 01.12.1962 წ. პირადი №01007002890, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, გ. ქუჩიშვილის ქუჩა №18, ბინა №23);
- 7) **გაიოზ მონიავა** (დაბადებული 04.03.1958 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა №25, კორპუსი №4, ბინა №41, პირადი №01009006606);
- 8) **სერგო რამიშვილი** (დაბადებული 07.03.1950 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ვ. სარაჯიშვილის ქუჩა №50, პირადი №01017021528);

9) გიორგი გეგენავა (დაბადებული 12.03.1957 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ნ. ჟვანიას ქუჩა №10, ბინა №36, პირადი №01009002058);

10) დიმიტრი კალანდაძე (დაბადებული 28.01.1969 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ატენის ქუჩა №4, ბინა №7-8, პირადი №01008010505);

11) გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ. , პირადი №01011021299).

სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი კალანდაძე.

სხდომის მდივანი: ხატია შელია.

**სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:**

1. ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საერთო კრების (ყრილობა) თარიღის და ადგილის დადგენა;
2. სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცება;
3. სრკ-ის საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცება;
4. სრკ-ის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება;
5. სრკ-ის წესდებაში ცვლილებების პროექტის განხილვა;
6. სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთა საერთო კრებისათვის წარდგენის ვადისა და წესის განსაზღვრა;
7. სრკ-ის საერთო კრებაზე არჩევნებში კენჭისყრისას ხმის მიცემის პროცედურის განსაზღვრა;
8. სრკ-ის საერთო კრების სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისიის) წევრთა დამტკიცება.

**სხდომამ გადაწყვიტა:**

1. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საერთო კრების (ყრილობა) თარიღის და ადგილის დადგენას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:  
ა/ სრკ-ის წლიური საერთო კრება მოწვეული იქნას 2020 წლის 30 იანვარს 13:00 საათზე თბილისში, თავისუფლების მოედანი #4, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში.
2. მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

ა/ დამტკიცდეს სრკ-ის ნამდვილ წევრთა სია და მათი პრემიალური ხმები წარმოდგენილი სახით (დანართი #1)

ბ/ კლუბებს (გუნდებს) რომლებსაც შესაძლოა გაუჩნდეთ პრეტენზია გამგეობის მიერ დამტკიცებულ ნამდვილ წევრთა სიასთან და/ან ხმათა რაოდენობასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ 2020 წლის 20 იანვრის ჩათვლით სრკ-ში წარმოადგინონ თავისი დასაბუთებული წერილობითი განცხადება, რომლის გადამოწმებისა და დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, სრკ-ს მიერ მოხდება ნამდვილ წევრთა სიისა და ხმათა რაოდენობის კორექტირება.

**3. მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:**

**სრკ-ის 2020 წლის 30 იანვრის საერთო კრების დღის წესრიგად განისაზღვროს:**

ა/ სრკ-ის გამგეობისა და პრეზიდენტის შემაჯამებელი ანგარიში;

ბ/ სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთა საერთო კრებისათვის წარდგენა, კანდიდატთა გამოსვლები;

გ/ სრკ-ის პრეზიდენტის არჩევა;

დ/ წესდების ცვლილებების მიღება;

ე/ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება.

**4. მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:**

ა/ საერთო კრების რეგლამენტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (დანართი #2)

**5. მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის წესდებაში ცვლილებების პროექტის განხილვა, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:**

ა/ მოწონებული იქნას სრკ-ს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი წესდების ცვლილებების პროექტი საერთო კრებაზე მისაღებად გასატანად;

ბ/ დაევალოს პრეზიდენტს ცვლილებათა გათვალისწინებით წესდების ახალი რედაქციის პროექტის მომზადება და საერთო კრებამდე 10 დღით ადრე კავშირის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

**6. მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთა საერთო კრებისათვის წარდგენის ვადისა და წესის განსაზღვრას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:**

ა/ სრკ-ის 2020 წლის 30 იანვრის საერთო კრებისთვის სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის ბოლო ვადად გამოცხადდეს 2020 წლის 25 იანვარი 16 საათი.

ბ/ სრკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით სრკ-ის ნამდვილი წევრის მიერ სრკ-ის გამგეობის სახელზე კავშირის ცენტრალურ ოფისში.

7. **მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა** სრკ-ის საერთო კრებაზე არჩევნებში კენჭისყრისას ხმის მიცემის პროცედურის განსაზღვრას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:
- ა/ საერთო კრებაზე კენჭისყრისას ხმის მიცემის პროცედურა განისაზღვროს საერთო კრების რეგლამენტით.
8. **მერვე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა** სრკ-ის საერთო კრების სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისიის) წევრთა დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:
- ა/ სრკ-ის 2020 წლის 30 იანვრის საერთო კრების სამდივნო (ხმის დამთვლელი კომისია) დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით: ედუარდ ნაჭყებია (პ/ნ: 01010015003), ნინო ფერაძე (პ/ნ: 01006005962) და ია ხურცილავა (პ/ნ: 010130002510).
- ბ/ ხმის დამთვლელი კომისიის სათადარიგო წევრებად დამტკიცდნენ: ზურაბ ზოიძე (პ/ნ: 01008006812) და ანა მუმლაძე (01017054297).
- გ/ პრეზიდენტობის კანდიდატებს უფლება აქვთ ხმის დამთვლელ კომისიაში წარადგინონ თითო პირი 2020 წლის 27 იანვრის 16:00 საათამდე სრკ-ს გამგეობის სახელზე დაწერილი განცხადებით, სრკ-ს ცენტრალურ ოფისში.

გამგეობის თავმჯდომარე

დიმიტრი კალანდაძე